



საარჩევნო სიახლენი II

(14 - 25 აპრილი)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აგრძელებს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენის“ მეორე გამოშვებაში წარმოგიდგენთ 2010 წლის, 25 აპრილისთვის არსებულ მონაცემებს.

საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებელთა რეგისტრაცია

პოლიტიკური სუბიექტების რეგისტრაცია

არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით¹ არჩევნებამდე არაუგვიანეს 43-ე დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს საარჩევნო ბლოკის წესდება და ამ ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი განცხადება, რათა ეს პარტიები ცესკო-ში დარეგისტრირდნენ ბლოკის სახელით. 18 აპრილის მონაცემებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართა სამმა საარჩევნო ბლოკმა რეგისტრაციისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით. ეს ბლოკებია:

1. „ალიანსი საქართველოსთვის“ - აერთიანებს ოთხ პოლიტიკურ პარტიას: საქართველოს რესპუბლიკური პარტია, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატები“ და პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“;
2. „ეროვნული საბჭო“ - აერთიანებს სამ პოლიტიკურ პარტიას: საქართველოს კონსერვატიული პარტია, პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“ და მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“;
3. „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან დემოკრატიული სახალხო პარტია“.

ამ სამი ბლოკიდან მხოლოდ ერთი დარეგისტრირდა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის, კერძოდ საარჩევნო ბლოკი - „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“.

¹ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 117, პუნქტი 11; მუხლი 95, პუნქტი 12



დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

2010 წლის 30 მაისის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამ ეტაპისათვის დარეგისტრირებულია 13 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია:

1. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“;
2. „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“;
3. ფონდი „ინვალიდთა დახმარების ასოციაცია“;
4. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
5. რეგისტრირებული კავშირი „ჯანმრთელი სამყარო“;
6. რეგისტრირებული კავშირი „თავისუფალი არჩევანი“;
7. რეგისტრირებული კავშირი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
8. კავშირი „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“;
9. სამართლებრივი განვითარების საზოგადოება;
10. კავშირი „ევროპასთან თანამშრომლობის საზოგადოება“;
11. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“;
12. „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“;
13. „თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია“.

და სამი საერთაშორისო ორგანიზაცია:

1. უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი;
2. „ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი“;
3. ბრიტანეთის საელჩო საქართველოში.

საარჩევნო ადმინისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონიტორინგი

არჩევნებამდე არაუგვიანეს 45-ე დღისა², 15 აპრილს, ცესკო-ს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა ჩარიცხვოდან მათთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები საოლქო საარჩევნო კომისიების მიმდინარე ანგარიშებზე. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები არ ჩაერიცხა: **# 45 ცაგერის** (ჩაირიცხა დაგვიანებით 15 აპრილს), **#63 აბაშისა** და **# 29 ყაზბეგის** საოლქო საარჩევნო კომისიებს. ყაზბეგის საოლქო საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, რომ მათ ცესკო-ს საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების მიაწოდეს 15 აპრილს, შესაბამისად თანხის ჩარიცხვამ დაიგვიანა.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით³ პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მოითხოვოს არჩევნებში მონაწილეობა იმ სიითი ნომრით, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა წინა საპარლამენტო არჩევნების დროს. ასეთი განცხადებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართა მხოლოდ

² საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 44, პუნქტი 4

³ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 120, პუნქტი 8



სამართლიანი არჩევნები

კონსერვატიულმა პარტიამ, რომელიც გაერთიანებულია ბლოკში „ეროვნული საბჭო“. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის „ეროვნული საბჭო“ დარეგისტრირდა რიგითი ნომრით 7, ხოლო შუალედური არჩევნებისთვის მხოლოდ კონსერვატიული პარტია რიგითი ნომრით 7. ეს გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთი ბლოკი მონაწილეობას არ იღებს შუალედურ არჩევნებში, თუმცა მასში შემავალი რამოდენიმე პარტია მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში.

კანონით განსაზღვრულ ვადაში, არჩევნებამდე არაუგვიანეს 40-ე დღისა, 20 აპრილის სხდომაზე არჩევნებში მონაწილე პარტიებს/ ბლოკებს მიენიჭათ რიგითი ნომრები. 30 მაისის არჩევნებისთვის მონაწილე სუბიექტების რიგითი ნომრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- # 2 - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს.სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ.გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი);
- # 3 - თოფამე- მრეწველები;
- # 5 - პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
- # 6 - საქართველოს სპორტსმენთა კავშირი;
- # 7 - ეროვნული საბჭო;
- # 8 - სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული ნაციონალური პარტია;
- # 10 - გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება;
- # 12 - პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“;
- # 17 - ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ);
- # 14 - პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველო“;
- # 18 - პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობა“;
- # 25 - ივანიშვილი - „სახალხო დემოკრატები“;
- # 23 - პ/გ „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი“;
- # 21 - „თორთლაძე- დემოკრატიული პარტია“;
- # 15 - პ/მ „თავისუფლება“;
- # 16 - „მომავლის პარტია“;
- # 19 - ძალოვანი ვეტერანების, პატრიოტთა და პენსიონერთა პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილი“;
- # 24 - მოძრაობა სამართლიანი არჩევნებისათვის (შუალედური არჩევნებისათვის);
- # 20 - პ/გ ქართული დასი;
- # 7 - საქართველოს კონსერვატიული პარტია (შუალედური არჩევნებისათვის);
- # 13 - პ/გ ხალხის პარტია (შუალედური არჩევნებისათვის);
- # 22 - მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მონიტორინგი

„სამართლიანი არჩევნების“ 75 გრძელვადიანი კოორდინატორები ახორციელებდნენ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს საქართველოს საოლქო საარჩევნო კომისიებში და აკვირდებოდნენ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესრულების პროცესებს.

კანონით დადგენილ ვადაში გამოაცხადა ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიების შესარჩევი კონკურსი. შესაბამისად 10-14 აპრილის განმავლობაში, ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში ჩატარდა საოლქო კომისიის სხდომები, საარჩევნო უბნების დაკომპლექტებასთან

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

დაკავშირებით. რიგ ოლქებში ჩატარდა 1 სხდომა, სხვაგან 2 ან 3 სხდომა უზენების დაკომპლექტების საკითხთან დაკავშირებით.

საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით „სამართლიანმა არჩევნებმა“ პარტნიორ ორგანიზაციასთან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინა საუბნო საარჩევნო კომისიათა მოხელეები, რომელთა არაკომპეტენტური მუშაობის გამო გაუქმდა ან/და სერიოზული სახის საჩივრები იქნა შეტანილი უზენებზე 2008 წლის არჩევნების (რიგგარეშე საპრეზიდენტო, საპარლამენტო და აჭარის უმაღლესი საბჭოს) დროს. სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოხელეების სია ორი ტიპის იყო. ერთი - მოხელეები, რომელთაც საერთოდ აკრძალათ მომავალში საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობა, ხოლო მეორე - რომელთაც დაეკისრათ სხვადასხვა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „საიამ“ რეკომენდაციის სახით მოუწოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ზემოთ აღნიშნული სია გაეგრძელებინა საოლქო საარჩევნო კომისიებში, რათა უზენების დაკომპლექტებისას მათ გაეთვალისწინებინათ და იგივე პირები აღარ დაენიშნათ ადმინისტრაციის ქვედა დონეზე. აღნიშნული სია ეხებოდა სულ 19 საარჩევნო ოლქს საქართველოს მასშტაბით. ესენია: # 1 მთაწმინდის, # 3 საბურთალოს, # 4 კრწანისის, # 7 ჩუღურეთის, # 10 გლდანის, # 12 გურჯაანის, # 17 თელავის, # 18 ახმეტის, # 32 გორის, # 33 ქარელის, # 49 თერჯოლის, # 59 ქუთაისის, # 61 ლანჩხუთის, # 62 ჩოხატაურის, # 68 წალენჯიხის, # 70 ფოთის, # 79 ბათუმის, # 81 ქობულეთის, # 82 შუახევისა და # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქები.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლები 10-14 აპრილის განმავლობაში, როდესაც კომპლექტდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიები, ესწრებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებს. მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 72 საარჩევნო ოლქში (მესტიის, ახალგორისა და ლიახვის საარჩევნო ოლქების გამოკლებით). მონიტორინგის შედეგებით საქართველოს მასშტაბით სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოხელეთა სია გადაეცა 13 საოლქო საარჩევნო კომისიას, ხოლო არ გადაეცა 59 საარჩევნო ოლქს. რადგან, აღნიშნული სია ყველა საარჩევნო ოლქს არ ეხებოდა, არ იყო ამ სიების ყველა ოლქისთვის მიწოდების აუცილებლობა.

სიაში ჩამოთვლილი საარჩევნო ოლქებიდან (სულ 20), ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო მოხელეების სია მიაწოდა სულ 5 საარჩევნო ოლქს - # 4 კრწანისის, # 10 გლდანის, # 17 თელავის, # 32 გორის, # 33 ქარელის საარჩევნო ოლქები; არ გადაუცია 14 საარჩევნო ოლქისათვის - # 1 მთაწმინდის, # 7 ჩუღურეთის, # 12 გურჯაანის, # 18 ახმეტის, # 49 თერჯოლის, # 59 ქუთაისის, # 61 ლანჩხუთის, # 62 ჩოხატაურის, # 68 წალენჯიხის, # 70 ფოთის, # 79 ბათუმის, # 81 ქობულეთის, # 82 შუახევისა და # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქები.

საარჩევნო უზენის კომისიების დაკომპლექტებისას, მონიტორინგმა გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

- აღნიშნული სია არ გაითვალისწინეს, რადგან არ მოუღიათ - # 1 მთაწმინდის, # 12 გურჯაანის, # 18 ახმეტის, # 59 ქუთაისის, # 61 ლანჩხუთის, # 62 ჩოხატაურის, # 81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიებს;
- სია მიიღეს, მაგრამ არ გაითვალისწინეს - # 32 გორის, # 33 ქარელის საარჩევნო ოლქებმა;
- სია მიიღო და ნაწილობრივ გაითვალისწინა - # 4 კრწანისის, # 10 გლდანის, # 17 თელავის საარჩევნო ოლქებმა;
- სია არ მიუღიათ, მაგრამ ოლქში არსებულ ბაზაზე დაყრდნობით ნაწილობრივ გაითვალისწინეს - # 49 თერჯოლის, # 82 შუახევის, # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქებმა;

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

- სიები არ მიუღიათ, მაგრამ ოლქში არსებულ ბაზაზე დაყრდნობით გაითვალისწინეს - # 7 ჩუღურეთის, # 68 წალენჯიხის, # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქებმა.

გარდა საუბნო საარჩევნო კომისიებისა, „სამართლიანმა არჩევნებმა“ და საია-მ ცესკოს ასევე წარუდგინა # 3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიეცა გაფრთხილება, ხოლო 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე - შენიშვნა, მისი არაკვალიფიციური საქმიანობის გამო. აღსანიშნავია, რომ დღეს აღნიშნული პიროვნება კვლავაც რჩება # 3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

არჩევნებამდე 45 დღით ადრე⁴, 15 აპრილს საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა გამოეყვეყნებინათ პრესიტა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით საარჩევნო უბნების ნომრები, მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები და სხვა რეკვიზიტები. ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ პრესიტა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გამოაქვეყნა საარჩევნო უბნების ნომრები, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართები, ტელეფონის (ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები 15 აპრილისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გამოქვეყნება უმრავლეს შემთხვევაში მოხდა საოლქო საარჩევნო კომისიების საჯარო სტენდებზე.

13-18 აპრილის განმავლობაში ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში ჩატარდა სხდომები, სადაც ძირითადად განხილული იყო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა დაკომპლექტების საკითხები. სხდომები შეეხო პოლიტიკური პარტიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის მიღებას, პოლიტიკური პარტიებიდან ოლქში შესული საბუთების გადამოწმებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნას, საარჩევნო უბნებზე არჩეულ წევრთა ცვლილებებს (მაგალითად, #17 თელავის საარჩევნო ოლქში სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ რესპუბლიკური პარტიის #7 საარჩევნო უბნის მოქმედი წევრი, ნინო ვარდანაშვილი, საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების გამო ჩაანაცვლა ციალა ლევიშვილმა) და ამომრჩეველთა სიების კორექტირებას. მაგალითად, #60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ ცესკოდან მიიღო ამომრჩეველთა 700 კაციანი სია, საიდანაც საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების მიერ შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გადამოწმებული იქნა 150-200 მონაცემი. გადამოწმებულთა შორის აღმოჩნდა 3 გარდაცვლილი პიროვნება. გადამოწმებული ამომრჩევლების რეგისტრაციიდან მოხსნა მოხდა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ამასთან ოლქები საანგარიშო კვირის განმავლობაში ახორციელებდნენ საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით განსაზღვრულ სხვა საქმიანობებს.

13-18 აპრილის განმავლობაში 34 საარჩევნო ოლქში გამართულ საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომებს ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი (13), დანარჩენ საოლქო კომისიებს კი იმდენი, რამდენიც საკმარისი იყო ქვორუმის შესაქმნელად.

19-25 აპრილის განმავლობაში სხდომები ჩატარდა 42 საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო არ ჩატარდა 33 საოლქო საარჩევნო კომისიაში. ესენია: # 21 გარდაბნის, # 23 ბოლნისის, # 27 მცხეთის, # 28 დუშეთის, # 29 ყაზბეგის, # 35 ხაშურის, # 36 ბორჯომის, # 37 ახალციხის, # 40 ახალქალაქის, # 41 ნინოწმინდის, # 48 ხარაგაულის, # 49 თერჯოლის, # 51 ზესტაფონის, #52 ბაღდათის, #53 ვანის, # 54 სამტრედიას, # 57 ტყიბულის, # 43 ონის, # 45 ცაგერის, # 46 ლენტეხის, # 63 აბაშის, # 64 სენაკის, # 65 მარტვილის, # 67 ზუგდიდის, #68 წალენჯიხის, # 17 თელავის, # 11 საგარეჯოს, # 13 სიღნაღის, # 18

⁴ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 16, პუნქტი 7

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

ახმეტის, # 16 ყვარლის, # 14 დედოფლისწყაროს, # 80 ქედისა და # 62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქები. სხდომებზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: მაჟორიტარი კანდიდატების დარეგისტრირება, საარჩევნო უბნების გახსნა, პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო უბნებზე წარდგენილი კომისიის წევრების შეცვლა/ გადანაცვლება, ამომრჩეველთა სიების დაზუსტება და კანონმდებლობით გაწერილი სხვა საქმიანობები.

19-25 აპრილის განვავლობაში გამართულ საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომებს (სულ 42 საარჩევნო ოლქში) ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი - **27** საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო **15** საოლქო საარჩევნო კომისიაში - კომისიის იმდენი წევრი, რამდენიც საკმარისი იყო ქვორუმის შესაქმნელად.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით⁵, არჩევნებამდე არაუგვიანეს 34-ე დღისა, უნდა გაიმართოს ახლადშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. 24-25 აპრილს გაიმართა საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომები თითქმის ყველა საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებზე. დეტალურ ინფორმაციას საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომებთან დაკავშირებით „სამართლიანი არჩევნები“ წარმოგიდგინებთ საარჩევნო სიახლეების შემდეგ გამოშვებებში.

საარჩევნო კამპანია

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები აწარმოებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. წინასაარჩევნო კამპანიები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიერ წარიმართა შემდეგ საარჩევნო ოლქებში.

პოლიტიკურმა პარტიამ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა **# 2 ვაკის, # 3 საბურთალოს, # 7 ჩუღურეთის, # 10 გლდანის, # 18 ახმეტის** საარჩევნო ოლქებში. პოლიტიკურმა პარტიამ შეხვედრებზე წარმოადგინა პარტიის პროგრამა.

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ამომრჩეველთან შეხვედრები ჰქონდა **# 13 სიღნაღის, # 18 ახმეტის, # 57 ტყიბულის, # 60 ოზურგეთის** საარჩევნო ოლქებში.

კონსერვატიული პარტია მოსახლეობას შეხვდა **# 2 ვაკის, # 10 გლდანისა, # 57 ტყიბულის** საარჩევნო ოლქებში.

პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩნს საქართველოს“ მოსახლეობას შეხვდა **# 2 ვაკის** საარჩევნო ოლქში.

„ახალი მემარჯვენეები“ ამომრჩეველებს შეხვდნენ **# 12 გურჯაანის** საარჩევნო ოლქში.

რესპუბლიკურმა პარტიამ ამომრჩეველებთან შეხვედრები გამართა **# 26 თეთრიწყაროსა და # 83 ხელვაჩაურის** საარჩევნო ოლქებში.

მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა საარჩევნო ბლოკმა „ალიანსი საქართველოსთვის“ **# 1 მთაწმინდის, # 2 ვაკის, # 5 ისნის** საარჩევნო ოლქებში.

⁵ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 4



სამართლიანი არჩევნები

6 სამგორის საარჩევნო ოლქში პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, მამუკა მერკვილაძეს ჰქონდა შეხვედრა მე-3 მასივის მოსახლეობასთან.

პარტიამ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა **# 15 ლაგოდეხის** საარჩევნო ოლქში.

24 დმანისის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთან შეხვედრა გამართეს „დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენლებმა.

მონიტორინგის განხორციელების დროს, პოლიტიკურმა პარტიებმა აღნიშნეს, რომ ისინი კმაყოფილი არიან მათთვის დათმობილი სააგიტაციო სტენდების რაოდენობით. ასევე, პოლიტიკურ პარტიებს/სუბიექტებს არ გამოუხატავთ რაიმე სახის უკმაყოფილება ტელევიზიებით საეთერო დროს განაწილების/სარეკლემო საკითხებთან დაკავშირებით.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი კოორდინატორის ინფორმაციით სარეკლამო დროის ფასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა მოძრაობა „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა. კერძოდ, მოძრაობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა კვირასთან შედარებით 1 წუთი სარეკლამო ფასის ღირებულება 10-ჯერ გაიზარდა (მისი განცხადებით ერთი კვირის წინ ერთი წუთის ფასი შეადგენდა 900 აშშ დოლარს, ამჟამად კი ერთი წუთის ფასი შეადგენს 9000 აშშ დოლარს. ეს ინფორმაცია ეხება ტელეკომპანიებს „რუსთავი 2“-სა და „იმედს“. გრძელვადიან დამკვირვებელს აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა **#2 ვაკის** საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა მარიამ შელეგიამ. „სამართლიანმა არჩევნებმა“ გადაამოწმა პოლიტიკურ რეკლამასთან დაკავშირებული ინფორმაცია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში. პოლიტიკური რეკლამის საფასური 30 წამისათვის იწყება 400 აშშ დოლარიდან, ხოლო მაქსიმალური თანხა 30 წამისათვის შეადგენს 16 000 აშშ დოლარს⁶. ორგანიზაცია ვერ დაადასტურებს და/ან ვერ უარყოფს სარეკლამო ფასის ზრდას გადაცემებისა და დროის მიხედვით ცვლილებებიდან გამომდინარე.

საარჩევნო კამპანიის ხელის შეშლა/ზეწოლა/კანონმდებლობის დარღვევა

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ რაიონული ლიდერის გაა მჭედლიშვილის განცხადებით, **# 15 ლაგოდეხის** საარჩევნო ოლქში მათ შეხვედრის ჩატარებისთვის არ დაუთმეს ლაგოდეხის კონოთეატრის შენობა. ასევე პარტიის ლიდერის განცხადებით, სამარშრუტო ტაქსის მძღოლები არ დასთანხმდნენ სოფლებიდან ამომრჩევლების ჩამოყვანას.

60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქში, კინოთეატრ „ოზურგეთში“ ფართის დაქირავებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფს, რომლებიც თბილისიდან უნდა ჩასულიყვნენ. მათ დახმარება სთხოვეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ერთ-ერთი პროექტის კოორდინატორს შორენა ღლონტს და ადგილობრივ ჟურნალისტებს, რომლებმაც 13 აპრილს მიმართეს კონოთეატრის დირექტორს დარბაზის ქირავნობასთან დაკავშირებით. კინოთეატრის დირექტორმა ლევან მგელაძემ, აღნიშნულ ექსპერტთა ჯგუფს დარბაზი არ მიაქირავა. მან თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ დარბაზი იყო ავარიულ მდგომარეობაში, შენობა –

⁶ იხილეთ „რუსთავი2“-ის აპრილის თვის სარეკლამო ბადე: <http://rustavi2.com/news/advertisementg.php>

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

მოუწესრიგებელი და შესაბამისად, დარბაზის გაქირავების უფლება არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ კინოთეატრში განთავსებულია ოზურგეთის #6 საარჩევნო უბანი. გარდა ამისა, 16 აპრილს ამავე შენობაში პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ახალგაზრდულმა ფრთამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ჩაატარა დახურული შეხვედრა.

პოლიტიკური პარტია „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ # 15 ლაგოდეხის ოფისის ლიდერის გია მჭედლიძის განცხადებით, პარტიის წარმომადგენლებს წინააღმდეგობა შეხვედათ სოფელ კაბალში განხორციელებული გამოკითხვის დროს. კერძოდ, პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ინტერვიუერებს (ეკა სამხარაძეს, გოგიტა გელაშვილს, მაია შერმაზანაშვილს, სოფო კოვზირიძეს), ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმა ჯემალ ნიაზოვმა არ მისცა საშუალება განხორციელებინათ გამოკითხვა. რწმუნებულმა ამომრჩევლებს მოუწოდა არ მიეღოთ მონაწილეობა აღნიშნულ კვლევაში.

საქართველოს კონსერვატიული პარტიის ვაკის შტაბ-ბინის უფროსის, ნიკა კაჭარავას განცხადებით, # 2 ვაკის საარჩევნო ოლქში, ბაგების პირველი კორპუსის სადარბაზოსთან უცნობმა პირებმა ჩამოხიეს პარტიის სარეკლამო პლაკატები.

13 აპრილს დააკავეს პოლიტიკური პარტიის „ალიანსი საქართველოსთვის“ # 51 ზესტაფონის საარჩევნო ოლქის ოფისის ხელმძღვანელი, რომელიც იმყოფებოდა თბილისში პარტიის ლიდერებთან შეხვედრაზე. ხელმძღვანელის ბინაში აღმოჩენილ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება, რის გამოც მას შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა. „სამართლიანი არჩევნები“ დამატებით ინფორმაციას ამ ფაქტთან დაკავშირებით მომდევნო ანგარიშებში მოგაწვდით.

51 ზესტაფონის საარჩევნო ოლქში, პოლიტიკური პარტიის „ალიანსი საქართველოსთვის“ ზესტაფონის ოფისის ახალი თავმჯდომარის ზაალ კაპანაძის განცხადებით, პარტიის წარმომადგენლებს სოფლებში: შრომა და კინოთეა უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა მოუწოდეს, თავი დაენებებინათ პარტიასთან ურთიერთობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახის წევრების სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ.

14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრის ნატო ყატაშვილის განცხადებით, მას შრომითი კონტრაქტი გაუწყვიტა ბუნების დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობამ, იმის გამო რომ იგი არის პარტიის მხარდამჭერი.

70 ფოთის საარჩევნო ოლქში, ბიბლიოთეკის შენობაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი, პარლამენტის იურიდიული საკითხთა კომიტეტის თანამშრომლის ირმა თოდუას მიერ. ტრენინგს ასევე ესწრებოდა „სამართლიანი არჩევნების“ ფოთის ოლქის გრძელვადიანი დამკვირვებელი. ტრენინგის დროს ტრენერმა მონაწილეებს წარუდგინა კომისიის თავმჯდომარის ინსტრუქციები, თუმცა აღსანიშნავია, რომ იმ ეტაპისათვის ჯერ არ იყო შერჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



ამომრჩეველთა სიები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარადგინა ამომრჩეველთა ერთიანი სიის დახვეწაზე მომუშავე პოლიტიკური პარტიების მიერ ცესკოში წარდგენილი სიები, მონიტორინგის შედეგად მოძიებული პრობლემების ანალიზი.

ამჟამად, ამომრჩეველთა ერთიან სიაშია 3 566 600 ამომრჩეველი; ამომრჩეველთა საერთო მონაცემი არ შეიცავს ლიახვის, კოდორისა და ახალგორის ამომრჩეველს, რომელთაც არ გაიარეს რეგისტრაცია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, როგორც იძულებით გადაადგილებულებმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში სულ ჩასწორდა 133 000 მონაცემი, რომელთაგან: 19 815 ჩასწორება სახელში, 33 766 - გვარში, 24 284 - დაბადების თარიღში, 55 094 - გვარში, 225 - დუბლირებული, 2825 - გარდაცვლილი, 13 000 ამომრჩეველს შენიშვნის სახით, კანონის შესაბამისად, მიწერილი აქვს „იმყოფება საკონსულო აღრიცხვაზე“, ხოლო 121 000 ამომრჩეველს - „იმყოფება უცხოეთში“⁷ და ა.შ.

2009 წლის 28 დეკემბერს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით, კერძოდ 129¹⁵ მუხლით განისაზღვრა შემდეგი: *ამომრჩეველი რომელიც 2010 წლის 15 იანვრიდან 2010 წლის 1 ივნისამდე შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს, ახალი რეგისტრაციის ადგილას მასზე გაიცემა დროებითი პირადობის მოწმობა*. ხოლო დროებითი პირადობის მოწმობით ამომრჩეველი ვერ განახორციელებს მისი აქტიურ საარჩევნო ულებას. ამასთან კანონი არ განსაზღვრავს, უნდა შეუნარჩუნდეს თუ არა მოქალაქე მველი პირადობის მოწმობა.

აღსანიშნავია, რომ დროებით პირადობის მოწმობები გაიცემოდა საქართველოს მასშტაბით ყველა მოქალაქეზე, რომელმაც შეიცვალა რეგისტრაციის ადგილი. ამ ეტაპისათვის, ასეთი ტიპის ამომრჩეველი 9000-მდეა. ამათგან 450 ამომრჩეველს (საქართველოს სამოქალაქო რეესტრის განცხადებით), არ შეუნარჩუნდა მველი პირადობის მოწმობა სხვადასხვა მიზეზის გამო (შეიცვალა ორი ან მეტი პარამეტრი პირადობის მოწმობაში, მაგალითად: გვარი და რეგისტრაციის ადგილი, სახელი და რეგისტრაციის ადგილი და ა.შ.).

საქართველოს საარჩევნო კოდექსით 129¹⁵ მუხლის 3 პუნქტით, განისაზღვრა თუ როგორ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას ის ამომრჩევლები, რომელთაც პირადობის მოწმობაში რეგისტრაციის ადგილის ნაცვლად უწერიათ „მისამართის გარეშე“. ზემოთაღნიშნული მუხლის თანახმად, ასეთი ამომრჩეველი მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პროპორციულ და თბილისის მერის არჩევნებში.

„სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება ამ გადაწყვეტილებას, რადგან მართლაც პრობლემატურია ასეთი ტიპის ამომრჩეველთა გადანაწილება თბილისსა და 4 თვითმმართველ ქალაქში ერთმანდატიანი

⁷ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 თებერვლამდე 121 000 -მა ამომრჩეველი გავიდა საქართველოდან და აღარ დაბრუნებულა.



სამართლიანი არჩევნები

მაჟორიტარული ქვე-ოლქების მიხედვით. თუმცა, ასევე გაუგებარია, რა მოტივაციით წაერთვა მაჟორიტარული წესით ხმის უფლება ამომრჩეველს, რომელიც რეგისტრირებულია ისეთ სარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, სადაც არ იქმნება მაჟორიტარული ქვე-ოლქები (გურჯაანის, ხაშურის, გორის, თელავის, სამტრედიის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ზუგდიდის და ა.შ.).

მესამე პრობლემატური კატეგორია ამომრჩეველთა სიებში, რომელიც დარეგულირებას საჭიროებს არის 12 000-მდე ამომრჩეველი, რომელთაც 2008 წლიდან მოყოლებული (საქართველოს სამოქალაქო რეესტრის ინფორმაციით), ბინის მესაკუთრეთა განცხადებების საფუძველზე გაუუქმდათ რეგისტრაციის ადგილი. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ამომრჩეველი ირჩევს იმ თვითმმართველობას, რომელსაც იგი თავისი საცხოვრებელი ადგილით მიეკუთვნება. ამასთან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. შესაბამისად 12 000-მდე ამომრჩეველი, რომელთაც გაუუქმდათ რეგისტრაციის ადგილი, ვერ იქნებიან შეყვანილნი ამომრჩეველთა ერთიან სიაში ძველი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის ამომრჩეველთა 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა განსხვავებულად უნდა დარეგულირდეს და ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქართველოს პარლამენტმა.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების დროული მიღება ზემოთაღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად დროულად უნდა განხორციელდეს, რათა მოესწროს ამ ტიპის ამომრჩეველთა შესაბამისი ინფორმირება.

სიების გადამოწმება

2010 წლის 20 აპრილს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას გადასცა ის მასალები, რომლებიც აღწერდა ამავე მისამართზე რეგისტრირებულ პიროვნებათა რეგისტრაციის გაუქმებას ბინის მესაკუთრეთა განცხადებით. სამოქალაქო რეესტრის განცხადებით, აღნიშნული მასალის ნაწილი სამოქალაქო რეესტრს წარუდგინეს პოლიტიკურმა პარტიებმა სიების დახვეწაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად.

24-25 აპრილს, „სამართლიანი არჩევნების“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, საია-სა და სამოქალაქო რეესტრის წარმომადგენლებმა ერთობლივად გადაამოწმეს აღნიშნული მისამართების ნაწილი, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე. ორი დღის განმავლობაში გადამოწმდა სულ 19 მისამართი, თბილისში. ესენია:

1. ჩოლოყაშვილის ქუჩა, კვარტ. 2, კორპ. 5, ბ. #111 - მესაკუთრე: გელა მჭედლიშვილი
2. მოსკოვის გამზირი, I კომპლექსი, კორპ. 4, ბინა #122 - მესაკუთრე: ნურად საბაძე;
3. ბ. ხმელნიცკის # 13, ბ. #39 - მესაკუთრე: მარინე მაზმანიაძე;
4. მოსკოვის გამზირი #42, ბ. #47 - მესაკუთრე: თენგიზ აშორდია;
5. მოსკოვის გამზირი, #2, კორპ. 1, ბ. #112 - მესაკუთრე: მაია კობიძე;
6. ვარკეთილი 3, III მ/რ, კორპ. 310, ბ. # 129 - მესაკუთრე: მარიამ გოგოლაური;
7. ვარკეთილი 3, I მ/რ, კორპ. 20, ბ #42 - მესაკუთრე: თინათინ გოგიშვილი;

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

8. ვაზისუბნის დასახლება, კორპ. 7, ბ. #64 - მესაკუთრე: ირმა შანგირაძე;
9. ვაზისუბანი II მ/რ, კორპ. 11, ბ. # 4 - მესაკუთრე: ეთერ პაპიძე
10. ვაზისუბნის დასახლება, კორპ. 2, ბ. # 65 - მესაკუთრე: ეკატერინე ბაკურაძე;
11. გუმათჰესის I კორპ. ბ. # 27 - მესაკუთრე: ზოიდა ალიმამედოვა;
12. გუმათჰესის IV კორპ. ბ. # 75 - მესაკუთრე: მზია თინიკაშვილი.
13. ქ. წამებულის 78, ბ. # 20;
14. ბ. ხელინცვის ქუჩა, სახლი #151, ბ. # 22;
15. მოსკოვის გამზირი # 36, ბ# 13;
16. ი. ჭავჭავაძის # 50, ბ. # 7 - მესაკუთრე: ბოლქვაძე / ი. ჭავჭავაძის #50, ბ. 11ა - მესაკუთრე: გივი მუჯირი
17. პეტრიწის I კორპ. ბ # 155
18. ვაზისუბნის დასახლება, კორპ. 8, ბ# 48 - მესაკუთრე: მარინა ნოზაძე
19. ვარკეთილი 3, I მ/რ, კორპ. 24, ბ. # 26 - მესაკუთრე: ელისო გედეხაური

გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. ჩოლოყაშვილის ქუჩა, კვ. 2, კორპ. 5, ბ. #111 - აღნიშნული ბინის მესაკუთრეა მოქალაქე გელა მჭედლიშვილი, თუმცა ამავე მისამართზე რეგისტრირებული იყო 5 პიროვნება (რობერტ გაბრიელიანი, რაიხანია გაბრიელიანი, გიორგი ირემაშვილი, ნინო ურუშაძე და მალხაზ ირემაშვილი), რომლებიც ფაქტობრივად აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობენ. მათგან 3 პიროვნება (გიორგი ირემაშვილი, ნინო ურუშაძე, მალხაზ ირემაშვილი) ბინის მესაკუთრის თანხმობით აღნიშნულ მისამართზე დარეგისტრირდა 2004-2005 წლებში, ხოლო ორი პიროვნება (რობერტ გაბრიელიანი, რაიხანია გაბრიელიანი), მესაკუთრისთვის უცნობია. მხოლოდ 2008 წლის არჩევნების დროს გახდა ბინის მესაკუთრისთვის ცნობილი, მის კუთვნილ ბინაში ამ პიროვნებათა რეგისტრაციის ფაქტის შესახებ. სამოქალაქო რეესტრის მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე, რობერტ გაბრიელიანი და რაიხანია გაბრიელიანი აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებულები იყვნენ 1979 წელს (სსრ პასპორტით). ბინის მესაკუთრის გელა მჭედლიშვილის განცხადების საფუძველზე, აღნიშნული მისამართიდან რეგისტრაცია მოეხსნა აღნიშნულ ხუთივე მოქალაქეს.
2. ბ. ხელინცვის 13, ბ.39 - ბინის მესაკუთრეა მოქალაქე მარინე მაზმანიანცი, თუმცა მისამართზე ასევე რეგისტრირებულია 4 პიროვნება (ეკატერინე მახარაძე -რეგისტრირებული 2004 წელს, ვალერი მირზოიანი - რეგისტრირებული 1998 წელს, დავით მამისმედაშვილი - რეგისტრირებული 2007 წელს და დიანა მამისმედაშვილი - რეგისტრირებული 2007 წელს). მონიტორინგის დროს, მეზობელმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მოქალაქეები ადრე ცხოვრობდნენ ამ მისამართზე (დაახლ. 5 წლის წინ), ხოლო შემდგომ შეიცვალეს ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. მარინე მაზმანიანცმა (ამჟამინდელმა ბინის მესაკუთრემ), ბინა შეიძინა 2007 წელს ლამარა მიმინოშვილისგან (ძველი მესაკუთრე). სამოქალაქო რეესტრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ მამისმედაშვილები (დიანა და დავითი) აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებულნი იყვნენ ლამარა მიმინოშვილის თანხმობით. მარინე მაზმანიანცის მიერ წარმოდგენილი კომუნალური გადასახადის ქვითრებიდან ირკვევა, მის კუთვნილებაში არსებული ბინაზე რეგისტრირებულ ოთხ პიროვნებაზე არ მოდის კომუნალური ამ ეტაპისათვის, ბინის მესაკუთრის მიერ სამოქალაქო რეესტრში (ისანი-სამგორის სამსახური) შეტანილი განცხადების საფუძველზე, 2010 წლის 6 აპრილს, აღნიშნულ ოთხ პიროვნებას მოეხსნა რეგისტრაცია.
3. მოსკოვის გამზ. 42, ბ.47 - ბინის მესაკუთრეა მოქალაქე თენგიზ აშორდია, თუმცა ამავე მისამართზე რეგისტრირებულია მესაკუთრისათვის უცნობი სამი პიროვნება (კარენ ნალბანდიანი (სსრ პასპორტით 22.02.1996), რუბენ ნალბანდიანი (რეგისტრირებული 15.08.1963) და ზავენ ნალბანდიანი (სსრ პასპორტით 01.03.2001)). ეს სამი პიროვნება ბინის ყოფილი მესაკუთრეები არიან და ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ამ პირების აღნიშნულ მისამართზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით ინფორმაცია მესაკუთრეს

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორმა მიაწოდა, სიების გადამოწმების დროს. მესაკუთრის განცხადებით, სიების გადამოწმების მიზნით აღნიშნულ მისამართზე სხვა პარტიების წარმომადგენლებიც იყვნენ, თუმცა დანარჩენ პარტიებს მსგავსი ინფორმაცია მისთვის, არ მიუწოდებიათ. მესაკუთრე დაზუსტებით ვერ ამბობს, რომელმა პარტიამ დააწერინა განცხადება აღნიშნული პიროვნებების რეგისტრაციიდან მოხსნასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნა, რომ ამ პიროვნებებზე არ მიუღია ამომრჩევლის ბარათი.

„სამართლიანი არჩევნები“ აღნიშნავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს #473 ბრძანების შესაბამისად (1997 წლის 12 აგვისტო) „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მე-10 თავის 1 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ხმარებისთვის უვარგისი, უზუსტო ჩანაწერების მქონე, დაკარგული (ნაპოვნია, გამოცვლილი და გარდაცვლილი პირის პირადობის (ბინადრობის), რეგისტრაციის მოწმობები და ყოფილი სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტები, მათი გაუქმების შემდეგ, ორი წლის ვადით ინახება მკაცრი აღრიცხვის ბლანკებში შესანახად განკუთვნილ სათავსოში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დასახელებული დოკუმენტები, აგრეთვე მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურში შემოსული ვადაგასული საერგისტრაციო მასალები ექვემდებარება განადგურებას ამ დებულებით დადგენილი წესით. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელებისას ვერ მოხერხდა ყველა მესაკუთრის თნხმობის მოძიება, რომლის საფუძველზეც აღნიშნული პირები (ხშირ შემთხვევაში) იყვნენ რეგისტრირებულნი მათ საკუთრებაში არსებულ მისამართებზე.

ამავე თემაზე - დაზუსტება: „სამართლიანი არჩევნების“ საარჩევნო სიახლენის პირველ გამოშვებაში (1 – 13 აპრილი) აღინიშნა 5 ამომრჩევლის მისამართების გადამოწმების საკითხი. „საარჩევნო სიახლენში“ ნათქვამია, რომ ამ ამომრჩევლებმა მიმართეს სამოქალაქო რეესტს მათ საკუთრებაში არსებულ მისამართებზე რეგისტრირებულ ამომრჩევლთა რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

გვსურს დავაზუსტოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო რეესტრის განცხადებით ამ პიროვნებათა განცხადებები რეესტრში წარდგენილ იქნა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ, სიების გადამოწმების პროცესის დასრულების შემდგომ. „სამართლიანი არჩევნები“ ეყრდნობა და ავრცელებს სამოქალაქო რეესტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge